**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ ბაკალავრიატის მესამე, მეოთხე, მეხუთე სემესტრის სტუდენტებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაცვლითი სტიპენდიის მოსაპოვებლად**

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://www.backis-mundus.eu/

| **სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი** | **ბაკალავრიატის მესამე, მეოთხე, მეხუთე სემესტრის სტუდენტები** |
|---|---|
| ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ | გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია) |
| ნიშნების ამონაწერი | გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული) |
| ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS) | სტუდენტებმა, რომელთაც არ აქვთ ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, არაუგვიანეს 2012 წლის 14 დეკემბრისა უნდა გაიარონ რეგისტრაცია თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში და დაწერონ B2 დონის ინგლისური ან მიმღებ უნივერსიტეტში სასწავლო ენად შემოთავაზებული სხვა (გერმანული, იტალიური და ა.შ) ენის B2 ტესტი. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!! |
| სასწავლო გეგმის მონახაზი | შეამოწმეთ თქვენი სასურველი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები და შეათანხმეთ სასურველი საგნები თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან (დოკუმენტს არ ტვირთავთ ელექტრონულად) |
| მოტივაციის წერილი | რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე) |
| CV | იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN, IT, DE, FR ) |
| რეკომენდაციის წერილი | ერთი (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული) |
| პასპორტი | სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია |
| დასკანერებული სერთიფიკატები | დაურთეთ მხოლოდ არსებობის შემთხვევაში |
| სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა | ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია) |

| | |
|---|---|
| (არსებობის შემთხვევაში) | |

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. მონპელიეს უნივერსიტეტი 2
2. ტალინის უნივერსიტეტი
3. ვილნიუსის გედიმინას ტექნიკური უნივერსიტეტი
4. მასარიკის უნივერსიტეტი
5. პას ვასკოს უნივერსიტეტი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
7. ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი
8. ანტვერპენის უნივერსიტეტი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
http://backis-mundus.eu/candidatures/offers.php
მობილობის პერიოდი: 2013/2014 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: ერთი ან ორი აკადემიური სემესტრი
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობის, დაზღვევისა და ცხოვრების უფლების დოკუმენტის დაფინანსებას.
**შენიშვნა:** გაითვალისწინეთ, რომ განაცხადის გაკეთება არ შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 12 თვეზე მეტი ვადით სწავლობდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში!

**სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:**
**2013 წლის 28 თებერვალი**

**დამატებითი ინფორმაციისა და ენის ტესტზე დასარეგისტრირებლად მიმართეთ**
**ანი ჭელიშვილს თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში**
**(აუცილებლად იქონიეთ თან ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ, ქართულ ენაზე)**
**თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121. ელ-ფოსტა: erasmus@tsu.ge**